

**დოპელჰერც აქტივი**  
**A- დან Zn-მდე**

1 დეპო ტაბლეტი დღეში უზრუნველყოფს ორგანიზმს უმნიშვნელოვანესი ვიტამინებით, მინერალებით და მიკროელემენტებით, საპროფილაქტიკო და სამკურნალო თვისებებით, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის ფუნქციური აქტივობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის

**შემადგენლობა:**

იხილეთ შეფუთვა

**ფარმაკოლოგიური მოქმედება:**

**ვიტამინი A** – მონაწილეობს ცილების, ცხიმების, მუკოპოლისაქარიდების სინთეზში, უზრუნველყოფს კანის, ლორწოვანი გარსების, ასევე მხედველობის ორგანოს ნორმალურ ფუნქციონირებას.

**B ჯგუფის ვიტამინები** – მონაწილეობენ სხვადასხვა ფერმენტის წარმოქმნაში, რომლებიც ორგანიზმში არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებს.

**ვიტამინი B1** – მონაწილეობს ნახშირწყლოვან ცვლაში, ნერვული სისტემის ფორმირებაში.

**ვიტამინი B2** – წარმოადგენს უჯრედული სუნთქვისა და მხედველობითი აღქმის კატალიზატორს. დიდ როლს ასრულებს დნმ-ის ფორმირებაში, ხელს უწყობს ქსოვილოვანი რეგენერაციის პროცესს.

**ვიტამინი B6** – მონაწილეობს ამინომჟავებისა და ცილების მეტაბოლიზმში.

**ვიტამინი B12** – ფოლიუმის მჟავასთან ერთად მონაწილეობს ნუკლეოტიდების სინთეზში, ასევე, ერთროციტების და მიელინური უჯრედების ფორმირებაში, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის ზრდის პროცესისათვის.

**ფოლიუმის მჟავა** – მონაწილეობს სისხლის უჯრედების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელ ამინომჟავების სინთეზში, რომლებიც ახდენენ ერთროპოეზის სტიმულაციას.

**ვიტამინი E** – ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, რომელიც ხელს უშლის სისხლის შედედების ზრდას, დადებითად მოქმედებს პერიფერიულ სისხლის მიმოქცევაზე. მონაწილეობს ცილების და ჰემოგლობინის სინთეზში, უჯრედების ზრდის პროცესში, ჩონჩხის კუნთების, გულის და სისხლძარღვების, სასქესო ჯირკვლების ფუნქციებში.

**ვიტამინი C** – დიდ როლს ასრულებს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების, შემაერთებელ ქსოვილში მიმდინარე ცვლის რეგულაციაში, ნახშირწყლოვან ცვლაში, სისხლის შედედებასა და ქსოვილთა რეგენერაციაში, ასტიმულირებს სტეროიდული ჰორმონების წარმოქმნას, ამცირებს კაპილართა კედლის გამავლობას. ვიტამინი C – ზრდის ორგანიზმის ინფექციის წინააღმდეგ მდგრადობას, ამცირებს ანთებით პროცესებს.

**ვიტამინი D** – მნიშვნელოვანია კალციუმისა და ფოსფორის წონასწორობის დაცვაში. ვიტამინი D – ს დეფიციტს მიყვავართ ძვლოვან ქსოვილში კალციუმის შემცირებამდე და ოსტეოპოროზის ჩამოყალიბებამდე.

**ნიკოტინამიდი** – მონაწილეობს ქსოვილოვანი სუნთქვის პროცესებში, ნახშირწყლოვან და ლიპიდურ ცვლაში.

**კალციუმი** – ახდენს ძვლოვანი ქსოვილის ფორმირებას, ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ შედედებას, ნერვული იმპულსების გადაცემას, ჩონჩხის და გლუვი კუნთების კუმშვადობას, გულის მოქმედების რეგულაციას.

**მაგნიუმი** – ამცირებს აგზნებადობას, მონაწილეობს მრავალ ფერმენტულ პროცესებში.

**ქრომი** – ხელს უწყობს სისხლში შაქრის სასურველი დონის შენარჩუნებას, ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემების პროფილაქტიკას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინს, ხელს უშლის ქსოვილებში ცხიმების დაგროვებას.

**რკინა** – მონაწილეობს ერთროპოეზში, შედის ჰემოგლობინის შემადგენლობაში და უზრუნველყოფს ჟანგბადის ტრანსპორტირებას ქსოვილებში.

**იოდი** – ახდენს საკვებში იოდის დეფიციტთან დაკავშირებულ ენდემური ჩიყვის პროფილაქტიკას.

**სპილენძი** – მონაწილეობს ქსოვილოვან სუნთქვაში, სისხლწარმოქმნაში, იმუნურ რეაქციებში.

**მანგანუმი** – ზემოქმედებს ძვლოვანი ქსოვილის წარმოქმნაზე, მონაწილეობს ქსოვილოვან სუნთქვაში, იმუნურ რეაქციებში.

**მოლიბდენი** – მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენითი რეაქციებში.

**სელენი** – ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, იცავს უჯრედებს ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან. სელენის უკმარისობამ შესაძლოა მიგვიყვანოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებამდე.

**თუთია** – ხელს უწყობს B ჯგუფის ვიტამინების შეთვისებას, მნიშვნელოვანია ძვლოვანი ქსოვილის განვითარებისათვის, მონაწილეობს მთელი რიგი ჰორმონების წარმოქმნაში.

**დეჰო ტაბლეტები უზრუნველყოფენ ვიტამინების, მაკრო- და მიკროელემენტების ნელ და თანდათანობით გამოთავისუფლებას, რაც ხელს უწყობს მათ მაქსიმალურ ათვისებას უჯრედების მიერ.**

**ჩვენებები:**

- ჰიპოვიტამინოზის, ავიტამინოზის და მინერალური ნივთიერებების დეფიციტის პროფილაქტიკა და მკურნალობა
- გონებრივი და ფიზიკური შრომისუნარიანობის დაქვეითება, დაღლილობა, კონცენტრირების უნარის დაკარგვა
- მდგომარეობები, რომელთა დროსაც იზრდება მოთხოვნილება ვიტამინებზე და მაკრო- და მიკროელემენტებზე (სტრესული მდგომარეობა ან გადაღლა, დაავადების შემდგომი რეკონვალესცენციის პერიოდი, ქირურგიული ოპერაციები ან რადიოთერაპია, ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებისათვის)
- ორგანიზმის ფიზიკური შესაძლებლობების მომატება, კერძოდ სპორტსმენებში.
- არასრული ან არაბალანსირებული კვება

**გამოყენების წესი და დოზირება:**

მოზრდილებში და ბავშვებში 12 წლის ზევით 1 ტაბლეტი ყოველდღიურად.

**უკუჩვენებები:**

შემადგენელი კომპონენტების მიმართ ინდივიდუალური აუტანლობა.

**განსაკუთრებული მითითებები:**

არ უნდა მოხდეს რეკომენდებული დოზის გადაჭარბება

ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შენახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას!